საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/14 " 5 " თებერვალი 202 5 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატად დარეგისტრირდნენ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებების ფარგლებში მიმდინარე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე შემდეგი პირები:

ა) აბაშიძე ივერი
ბ) თავართქილაძე ლაშა
გ) კაჟაშვილი ლიანა
დ) კოჭლამაზაშვილი არჩილ
ე) კულულაშვილი ეკატერინე
ვ) ნემსაძე ლევან
ზ) შავაძე პაატა
თ) ჯინჯოლია მიხეილ.

2. არ იქნეს კანდიდატად დარეგისტრირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირი თამარ ალფაიძე - „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №1/41 გადაწყვეტილების (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი 27) დანართი 1-ით განსაზღვრული

დოკუმენტის - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნის (ფორმა 100) წარმოუდგენლობის გამო (თამარ ალფაიძის მიერ წარმოდგენილია 2024 წლის 15 თებერვალს გაცემული სამედიცინო დასკვნა).

3. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, გადაწყვეტილების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი